

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის
სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის

ოქმი № 6

14.11.2019 წ.

2019 წლის 14 ნოემბერს შედგა სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომა.

ფაკულტეტის სხდომას 215 წევრიდან დაესწრო 153 წევრი.

(დასწრების სია თან ერთვის ოქმს)

დ დ ი ს წ ე ს რ ი გ ი

1. ემერიტუსებისათვის დიპლომების გადაცემა. მომხსენებელი სამშენებლო ფაკულტეტის დეკანი, პროფესორი დავით გურგენიძე;
2. 2019 წლის ბიუჯეტში ცვლილების შეტანის შესახებ. მომხსენებელი, სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერი, პროფესორი გინა გურეშიძე;
3. სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამების, თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი;
4. სასწავლო-საგანმანათლებლო პროგრამის სამშენებლო-სატრანსპორტო ტექნოლოგიური საშუალებების მოდიფიცირება აკრედიტაციის ექსპერტების რეკომენდაციით. მომხსენებელი, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსი, პროფესორი მარინა ჯავახიშვილი;
5. სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტების ინდივიდუალური სწავლების გრაფიკზე გადაყვანის შესახებ. მომხსენებელი, პროფესორი იური ქადარია;
6. სტუ-ს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში, 2019 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ. მომხსენებელი ცენტრის ხელმძღვანელი ვ. დვალიშვილი;
7. სტუ-ს „ტექნიკური ექსპერტიზა და უსაფრთხოება მშენებლობაში“ ცენტრის ხელმძღვანელის ანგარიში, 2019 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ. მომხსენებელი ცენტრის ხელმძღვანელი პროფესორი ლერი ზამბახიძე;
8. ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელი სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომარე დ. ჯანჯალაშვილი.
9. მიმდინარე საკითხები.

1. მოისმინეს: 1. სამშენებლო ფაკულტეტის დეკანმა, პროფესორმა დავით გურგენიძემ ემერიტუსებს მიულოცა დაფასებული, ნაყოფიერი შრომისათვის დამსახურებულად მიღებული ჯილდო და გადასცა დიპლომები.

მოისმინეს: 2. სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პროფესორ დავით გურგენიძის ინფორმაცია პროფესორ ტარიელ კვიციანის 75 წლის იუბილესთან დაკავშირებით. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტის №101 დეპარტამენტის პროფესორს ტარიელ კვიციანს შეუსრულდა დაბადებიდან 75 წელი. ამ თარიღთან დაკავშირებით ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ხანგრძლივი და ნაყოფიერი პედაგოგიური და სამეცნიერო მუშაობისათვის, ბატონი ტარიელი დაჯილდოვდეს საპატიო სიგელით და ფაკულტეტის ბიუჯეტიდან მიეცეს ფულადი ჯილდო ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

აგრეთვე, №107 დეპარტამენტის უფროსს, პროფესორს ელინა ქრისტესიაშვილს შეუსრულდა დაბადებიდან 50 წელი. ფაკულტეტის საბჭომ გადაწყვიტა დაჯილდოვდეს იგი საპატიო სიგელით დამიეცეს ფულადი ჯილდო ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

დაადგინეს: აღნიშნული საკითხი გატანილ იქნას აკადემიურ საბჭოზე განსახილველად.

2. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია ფაკულტეტის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ. სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის 2019 წლის დამტკიცებული ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი კრედიტებიდან შემოსული თანხის (211 152 ლარი) გამო გაიზარდა 176 287 ლარით. სულ შემოსავალი ნაცვლად გათვალისწინებული 6 468 085 ლარისა, განისაზღვრა 6 644 372 ლარით. გაზრდილი თანხა 176 287 ლარი და მოგების გადასახადიდან 35 870 ლარი, სულ 212 157 ლარი დაემატა „შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების“ მუხლს; მოგების გადასახადიდან 4 000 ლარი დაემატა „მივლინების“ მუხლს.

ასევე განხორციელდა ცვლილება ეკონომიური კლასიფიკაციის მუხლებს შორის , კერძოდ:

თანამდებობრივი სარგოს მუხლიდან 237 430 ლარი გადატანილ იქნა :

- 206 481 ლარი „შენობა ნაგებობების და მათი მიმდებარე ტერიტორიების მიმდინარე რემონტის ხარჯის“ მუხლში;

- 7000 ლარი „პრემიის“ მუხლში;

- 149 ლარი „მიწის გადასახადის“ მუხლში;

- 16 800 ლარი „სხვადასხვა მიმდინარე ხარჯების სხვა დანარჩენი მიმდინარე ხარჯების“ მუხლში;

-7000 ლარი „სოციალური უზრუნველყოფის“ მუხლში;

დაადგინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას 2019 წლის ბიუჯეტის ცვლილების შესახებ გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს წარმომადგენლობით საბჭოზე დასამტკიცებლად.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

3. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია №107 დეპარტამენტის საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამა „მშენებლობის მენეჯმენტის“ თვითშეფასების ჯგუფის დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა საბჭოს მოახსენა:

სტანდარტი 1.

პროგრამის ხელმძღვანელი გრიგორ ხოფერია, დეპარტამენტის უფროსის მ/შ ელინა ქრისტესიაშვილი, პროფ. ვახტანგ ბალავაძე, პროფ. მურმან ბაქრაძე, პროფ. თემურ ამყოლაძე, ასოც. პროფესორი ლეილა ქრისტესიაშვილი, ასოც. პროფ. მედეა ძოწენიძე, მოწვ. ასოც. პროფ. დავით ბაქრაძე.

სტანდარტი 2.

პროგრამის ხელმძღვანელი გრიგორ ხოფერია, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მარინა ჯავახიშვილი, პროფ. ელინა ქრისტესიაშვილი,

სტანდარტი 3.

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი მარინა ყავრელიშვილი, ფაკულტეტის დეკანატის უფროსი თინათინ მაღრაძე, ასოც. პროფ. მედეა ძოწენიძე და სუდენტები ლალი გასიტაშვილი, მარიამ გიორგაძე და დავით ზაქაშვილი.

სტანდარტი 4.

პროგრამის ხელმძღვანელი გრიგორ ხოფერია, ფაკულტეტის მენეჯერი გინა გურეშიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მარინა ჯავახიშვილი.

სტანდარტი 5. პროგრამის ხელმძღვანელი გრიგორ ხოფერია, ფაკულტეტის მენეჯერი გინა გურეშიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მარინა ჯავახიშვილი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სპეციალისტი მარინა ყავრელიშვილი.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

4. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის პროფესორ მარინა ჯავახიშვილის ინფორმაცია დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამების „წყლის ინჟინერია“ და „მშენებლობის მენეჯმენტი“ აკრედიტაციისათვის მზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფების შექმნისა და მათი შემადგენლობების დამტკიცების შესახებ. მომხსენებელმა წარმოადგინა:

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „წყლის ინჟინერია“-ს აკრედიტაციისათვის მზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

პროფესორი ზურაბ გვიშიანი - ჯგუფის და პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი - პროფესორი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი; ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე ბზიავა, ასისტენტი ზააალ ცინაძე, ასისტენტი ირინა დენისოვა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მარინა ჯავახიშვილი, ფაკულტეტის მენეჯერი - გინა გურეშიძე, - ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი - თინათინ მაღრაძე.

2. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტი“-ს აკრედიტაციისათვის მზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

პროგრამის ხელმძღვანელი გრიგორ ხოფერია, დეპარტამენტის უფროსის მ/შ ელინა ქრისტესიაშვილი, პროფ. ვახტანგ ბალავაძე, პროფ. მურმან ბაქრაძე, პროფ. თემურ ამყოლაძე, ასოც. პროფესორი ლეილა ქრისტესიაშვილი, ასოც.

პროფ. მედეა მოწინიძე და მოწვ. ასოც. პროფ. დავით ბაქრაძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მარინა ჯავახიშვილი, სუდენტები: ლალი გასიტაშვილი, მარიამ გიორგაძე და დავით ზაქაშვილი, ფაკულტეტის მენეჯერი გინა გურეშიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სსპეციალისტი მარინა ყავრელიშვილი.

დაადგინეს:1. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „წყლის ინჟინერია“ -ს აკრედიტაციისათვის მზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

პროფესორი ზურაბ გვიშიანი - ჯგუფის და პროგრამის ხელმძღვანელი; პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი - პროფესორი ალექსანდრე ბაგრატიონ-დავითაშვილი; ასოცირებული პროფესორი კონსტანტინე ბზიავა, ასისტენტი ზააალ ცინაძე, ასისტენტი ირინა დენისოვა, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მარინა ჯავახიშვილი, ფაკულტეტის მენეჯერი - გინა გურეშიძე, - ფაკულტეტის დეკანატის წარმომადგენელი - თინათინ მალრაძე.

2. დამტკიცდეს დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობის მენეჯმენტი-ს“ -ს აკრედიტაციისათვის მზადების მიზნით თვითშეფასების ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:

პროგრამის ხელმძღვანელი გრიგორ ხოფერია, დეპარტამენტის უფროსის მ/შ ელინა ქრისტესიაშვილი, პროფ. ვახტანგ ბალავაძე, პროფ. მურმან ბაქრაძე, პროფ. თემურ ამცოლაძე, ასოც. პროფესორი ლეილა ქრისტესიაშვილი, ასოც. პროფ. მედეა მოწინიძე და მოწვ. ასოც. პროფ. დავით ბაქრაძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი მარინა ჯავახიშვილი, სუდენტები: ლალი გასიტაშვილი, მარიამ გიორგაძე და დავით ზაქაშვილი, ფაკულტეტის

მენეჯერი გინა გურეშიძე, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის სსპეციალისტი მარინა ყავრელიშვილი.

3. ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებით ჯგუფებს დაევალოს შეადგინონ სამოქმედო გეგმა და დაგეგმონ გასატარებელი ღონისძიებები.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

5. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის დეკანის პირველი მოადგილის პროფესორ იური ქადარიას ინფორმაცია სტუდენტებისათვის 2019-2020 სასწავლო წლის პირველ სემესტრში გრაფიკის დანიშვნის შესახებ. მან საბჭოს მოახსენა, რომ სამშენებლო ფაკულტეტზე სულ შემოსულია 325 განცხადება, რომელთგან რეკომენდაცია გაეწია 307 სტუდენტს.

აზრი გამოთქვას: პროფესორებმა: ლ კახიანმა. ნ. მსხილძემ.

დაადგინეს: წარმოდგენილ 307 სტუდენტს გაეწიოს რეკომენდაცია სტუ-ს აკადემიური საბჭოს წინაშე გრაფიკის დასანიშნად.

6. მოისმინეს: სტუ-ს სასწავლო, სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის ხელმძღვანელის ვ. დვალიშვილის მოხსენება - ანგარიში, 2019 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს)

7. მოისმინეს: სტუ-ს „ტექნიკური ექსპერტიზა და უსაფრთხოება მშენებლობაში“ ცენტრის ხელმძღვანელის პროფესორი ლერი ზამბახიძის მოხსენება - ანგარიში, 2019 წელს გაწეული სამუშაოების შესახებ. (მოხსენება თან ერთვის ოქმს)

8. მოისმინეს: სტუდენტური თვითმმართველობის თავმჯდომრის დემეტრე ჯანჯალაშვილის ინფორმაცია ფაკულტეტის საბჭოში შემავალ სტუდენტთა ახალი შემადგენლობის დამტკიცების შესახებ გადაიდო.

9. მიმდინარე საკითხები

1. მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ, “უმაღლესი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 22-ე მუხლის დადგენილების საფუძველზე:

1. ქვემოთ ჩამოთვლილი სტუდენტები ნაწილობრივ გათავისუფლდნენ სწავლების საფასურის გადასახადისაგან მითითებული ოდენობით:

№	გვარი, სახელი	პირადი №	კურსი	ჯგუფი	დაფინანსების თანხა (ლარი)	სტატუსი
1	მულაძე ვანო	62009006173	1	1980	200	დევნილი
2	შენგელია გოგა	62004026859	2	1818	200	დევნილი
3	კაკუბერი ალექსანდრე	62001043733	2	1800	200	დევნილი
4	სანიკიძე მიხეილი	01008058443	2	131801	1125	-

2. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით ქვემოთ ჩამოთვლილი სტუდენტები გათავისუფლდნენ აღებული კრედიტების გადასახადისაგან:

№	გვარი, სახელი	პირადი №	კურსი	ჯგუფი	დაფინანსების თანხა (ლარი)	სტატუსი
1	საგანელიძე გიორგი	01001097414	4	1680	5 კრედიტი	187,5
2	მეფარიშვილი თამაზ	33001060262	დამატ	1265	41 კრედიტი	1537,5
3	ზოზიაშვილი ალექსანდრე	50001003251	დამატ	1535	41 კრედიტი	1537,5

3. სამშენებლო ფაკულტეტის სტუდენტური თვითმმართველობის შუამდგომლობის და საბჭოს გადაწყვეტილებით სტუდენტი ქიტომვილი უჩა - კურსი: II, პ/ნ 13001062716, ჯგ. 1804 გათავისუფლდეს სწავლების საფასურისაგან - 2250 ლარის ოდენობით.

დაადგინეს: წარმოდგენილი წინადადებები დამტკიცდეს და სტუდენტების დაფინანსება მოხდეს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან ზემოთ მითითებული ოდენობით.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

2. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა აღნიშნა რომ, ქ. ფოთის მუნიციპალიტეტის

მერის თხოვნით, ფოთის ჰიდროლოგიური რეჟიმის დარეგულირებისათვის, ქ. ფოთში საჭიროა სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორების: იური ქადარიასა და შალვა გაგომიძის მივლინება 2019 წლის 28-29 ნოემბერს. გთხოვთ გამოუყოთ სამივლინებო თანხა სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: ქ. ფოთში სამშენებლო ფაკულტეტის პროფესორების: იური ქადარიასა და შალვა გაგომიძის მივლინებისათვის (2019 წლის 28-29 ნოემბერს) გამოუყოთ სამივლინებო თანხა სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

3. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა აღნიშნა რომ, სამშენებლო ფაკულტეტის ასოც. პროფესორი ნანი მეფარიშვილი მონაწილეობას ღებულობს 2019 წლის 21-22 ნოემბერს სომხეთში, ქ. ერევანში, სადაც გაიმართება გაეროს საერთაშორისო სასწავლო სემინარი - ენერგოეფექტური ნაგებობები მშენებლობაში. გთხოვთ გამოუყოთ სამივლინებო თანხა სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ასოც. პროფესორს, ნანი მეფარიშვილს გამოეყო სამივლინებო თანხა სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

4. მოისმინეს: სამშენებლო ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მომხსენებელმა აღნიშნა, რომ სამშენებლო ფაკულტეტის ასოც. პროფესორი ზურაბ გვიშიანი მონაწილეობას ღებულობს 2019 წლის 25-29 ნოემბერს პროგრამა Erasmus+ , ამავე დროს, 2019 წლის 30 ნოემბრიდან 9 დეკემბრამდე ზ. გვიშიანი საქართველოს ტექნიკურ და ჩენსტოხოვას ტექნიკურ უნივერსიტეტებს შორის, ორმხრივი თანამშრომლობის ხელშეკრულების ფარგლებში მონაწილეობას მიიღებს XVI საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციაში. აღსანიშნავია, რომ სტუ ამ კონფერენციის საორგანიზაციო კომიტეტის წევრია. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე პროფ. ზ. გვიშიანის პოლონეთში 24 ნოემბრიდან 29 ნოემბრის ჩათვლით სამივლინებო ხარჯებსა და მგზავრობის საფასურს დაფარავს Erasmus+, ხოლო 30 ნოემბრიდან 9 დეკემბრის ჩათვლით ზ. გვიშიანის სამივლინებო ხარჯი მგზავრობის საფასურის გარდა დაიფარება სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

გთხოვთ გამოუყოთ სამივლინებო ხარჯები 30 ნოემბრიდან - 9 დეკემბრის ჩათვლით სამშენებლო ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

საბჭომ ერთხმად დაუჭირა მხარი წარმოდგენილ ინფორმაციას.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის ასოც. პროფესორის ზურაბ გვიშიანის სამივლინებო ხარჯები ქ. ჩენსტოხოვაში გამოიყოს ფაკულტეტის ბიუჯეტიდან.

დადგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

5. მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გინა გურეშიძის ინფორმაცია. მან საბჭოს წარუდგინა ქვემოთ ჩამოთვლილ იმ თანამშრომლების სია, რომელთაც ესაჭიროებათ ფინანსური დახმარებები:

1. №102 დეპარტამენტის ასისტენტ-პროფესორი ნინა არეშიძე,
2. №102 დეპარტამენტის პროფესორი თამაზ ხმელიძე,
3. დამლაგებელი ლეილა რევაზიშვილი,
4. დეკანატის სპეციალისტი - გიზო ცინცაძე -300 ლარი.

5. №102 დეპარტამენტის აკადემიურ დოქტორს ნინო ნაკვეთაურს გარდაეცვალა დედა;

6. №105 დეპარტამენტის ასისტენტს ზაალ ცინაძეს გარდაეცვალა დედა;

დაადგინეს: ბიუჯეტის დამჭირავებლის მიერ გაწეული „სოციალური დახმარების“ მუხლიდან გამოეყოთ თანხა ერთი თვის ხელფასის ოდენობით ზემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებს.

6. მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია ასოც. პროფესორის ლ. ავალიშვილის და მაგისტრატურის სტუდენტის ნ. შარაშენიძის მეთოდური მითითება - „რკინაბეტონის კარკასული შენობის გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე ერთმასიანი რხევადი სისტემის საანგარიშო მოდელით“ შესახებ.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს სახელმძღვანელოს ასოც. პროფესორის ლ. ავალიშვილის და მაგისტრატურის სტუდენტის ნ. შარაშენიძის მეთოდური მითითება (100 ეგზემპლარი) - „რკინაბეტონის კარკასული შენობის გაანგარიშება სეისმურ ზემოქმედებაზე ერთმასიანი რხევადი სისტემის საანგარიშო მოდელით“ გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლიდან - „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ 100 (ასი) ლარის ოდენობით.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

7. მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია პროფესორ ე. ქრისტესიაშვილის და ინჟინერ-პროგრამისტის ზ. ისააკიანის დამხმარე სახელმძღვანელო „ეკონომიკის ამოცანების ამოხსნის მაგალითები“ შესახებ.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს სახელმძღვანელოს პროფესორ ე. ქრისტესიაშვილის და ინჟინერ-პროგრამისტის ზ. ისააკიანის დამხმარე სახელმძღვანელო „ეკონომიკის ამოცანების ამოხსნის მაგალითები“ (30 ეგზემპლარი) გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლიდან - „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ 90 (ოთხმოცდაათი) ლარის ოდენობით.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

მოისმინეს: ფაკულტეტის მენეჯერის პროფესორ გ. გურეშიძის ინფორმაცია პროფესორების მ. ნაცვლიშვილის და ნ. ნაცვლიშვილის მიერ მომზადებული მეთოდური მითითება საკურსო და პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად „დასახლებული ადგილების (გარე) წყალმომარაგება და წყალარინება“ შესახებ.

დაადგინეს: სამშენებლო ფაკულტეტის საბჭო მხარს უჭერს სახელმძღვანელოს პროფესორების მ. ნაცვლიშვილის და ნ. ნაცვლიშვილის მიერ მომზადებული მეთოდური მითითება საკურსო და პრაქტიკული სამუშაოების შესასრულებლად „დასახლებული ადგილების (გარე) წყალმომარაგება და წყალარინება“ (50 ეგზემპლარი) გამოცემას და მისი გამოცემის დაფინანსებას ფაკულტეტის ბიუჯეტის მუხლიდან - „ნორმატიული აქტების, საცნობარო და სპეციალური ლიტერატურის, ჟურნალ-გაზეთების შეძენა და ამავე მიზნებთან დაკავშირებული საგამომცემლო-სასტამბო ხარჯები“ 110 (ასათი) ლარის ოდენობით.

დადაგენილება მიღებულ იქნა ერთხმად.

სამშენებლო ფაკულტეტის

საბჭოს თავმჯდომარე, პროფესორი

/დ. გურგენიძე/

საბჭოს მდივანი, პროფესორი

/რ. იმედაძე/

